საბა კალანდარიშვილი
კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, თსუ
sabakalanda@gmail.com

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის საბრძოლო მოქმედებები ოზურგეთი-ბათუმის მონაკვეთზე

საკვანძო სიტყვები: რუსეთ-ოსმალეთის ომი, აჭარის შემოერთება, ქობულეთის რაზმი, მუხაესტატე, ხუცუბანი, ციხისძირი

Keywords: Russo-Ottoman war, joining of Adjara, Kobuleti squad, Mukhaestate, Khutsubani, Tsikhisdziri

მას შემდეგ, რაც ოსმალეთის იმპერია საქართველოს გაუმეზობლდა, დაიწყო დიდი და მრავალწლიანი შემოსევების სერია. ოსმალთა შემოსევების უპირველესი სამიზნე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა იყო. პირველი იერიშების მიტანა ხდებოდა ისტორიული სამხრეთ საქართველოს, მესხეთისა და აჭარა-გურიის ტერიტორიებზე. 1461 წელს ოსმალთა მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაპყრობის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული კუთხეები ოსმალეთის ტერიტორიულ დაქვემდებარებაში მოექცა. XVI საუკუნიდან ოსმალები იერთებენ აჭარასაც. აჭარის შემოერთებით ოსმალები გაუმეზობლდნენ გურიის სამთავროს. ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლო ესტაფეტა ამ შემთხვევაში გურიას გადაეცა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში წინ ედგა ოსმალეთს დასავლეთ საქართველოში ექსპანსიის წინააღმდეგ. XVII საუკუნეში გურიის სამთავრომ დაკარგა ბათუმი და ჩაქვის მიდამოები. ამის შემდეგ ოსმალეთის მარბიელი ლაშქრობები იმართებოდა ქობულეთის მიდამოებში, რომელიც გურიისთვის სამხრეთიდან თავდაცვით ფუნქციას ასრულებდა. მიუხედავად იმისა, რომ გურიელი ცდილობდა ქობულეთის, იგივე ქვემო გურიის, შენარჩუნებას, 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობებით ოსმალეთმა მაინც მიიტაცა ქობულეთი. ამიერიდან დაიწყო ქვემო გურიის გამუსლიმება და ოსმალეთის ადმინისტრაციულ წყობილებაში მოქცევა.

ჩვენი ნაშრომი ამ შემთხვევაში ეხება 1877-1878 წლების ომის მოვლენებს, ვინაიდან ეს ომი გამოდგა ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი და დადებითი საქართველოსთვის. ქართული საზოგადოების მოლოდინი ამ ომისგან იყო ქართული მიწების დედასამშობლოსთან დაბრუნება, რის გამოც ის დიდი აღტყინებით და სიხარულით შეხვდა ომის დაწყებას. ტრადიციულად, კავკასიის ფრონტი აქაც დიდი მნიშვნელობის იყო. ძირითადი საბრძოლო მოქმედებები რამდენიმე მონაკვეთზე მიმდინარეობდა.

იმის გათვალისწინებით, რომ ბათუმს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა, მის ასაღებად არაერთი გეგმა შემუშავდა. ერთ-ერთი გეგმის

მიხედვით ბათუმის აღება უნდა მომხდარიყო სწორედ ოზურგეთის მხრიდან (იაშვილი 1948: 139). ბათუმი-ოზურგეთის მონაკვეთი გახდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი, სადაც არაერთი სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ომის ბედი ბალკანეთში პლევნას აღებით გადაწყდა, მნიშვნელოვანი იყო ქართველი მეომრების წვლილი, რომლებიც მონაწილეობდნენ რუსეთ-ოსმალეთის კავკასიის ფრონტის ბრძოლებში.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი მეტ-ნაკლებად კარგადაა გამოკვლეული ქართულ ისტორიოგრაფიაში, საარქივო მასალების, თანადროული პრესის, სხვა დოკუმენტური წყაროებისა და არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებით ვეცადეთ ნაშრომისთვის უფრო კონკრეტული სახის მიცემა და ყურადღება გავამახვილეთ მხოლოდ ოზურგეთი-ბათუმის მონაკვეთზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებზე, რომელიც ძირითად შემთხვევაში უყურადღებოდაა დატოვებული ქართველ მკვლევართა მიერ. ჩვენი მიზანია დეტალურად აღვწეროთ და გადმოვცეთ აღნიშნული მონაკვეთის სტრატეგიული მნიშვნელობა და იქ გამართული მნიშვნელოვანი საბრძოლო მოქმედებები, რაშიც საარქივო მასალებთან და პერიოდულ გამოცემებთან ერთად გვეხმარება რუს ავტორთა ჩანაწერები, რომლებიც ნაკლებად ან სულ არაა გამოყენებული ამ საკითხების კვლევისთვის. ასეთია გ. ხოხლენკოსა და ნ. ვოლკოვნსკის ნაშრომები. განსაკუთრებით საყურადღებოა ნ. ვოლკოვნსკის 1884 წელს გამოცემული ნაშრომი, რომელიც ფაქტობრივად აღადგენს საბრძოლო მოქმედებებს ოზურგეთი-ბათუმის მონაკვეთზე და მისი სიღრმისეული დამუშავება ბევრ ახალ და საინტერესო დეტალს შემოიტანს მოცემული პერიოდის კვლევის საქმეში.

1877 წლის 12 აპრილს რუსეთის ბალკანეთის ფრონტის არმია რუმინეთის გავლით დუნაისკენ დაიძრა. რუსეთის არმიის რაოდენობა 357 ათას მებრძოლს ითვლიდა, ოსმალეთის იმპერიისა კი 190 ათასამდე მეომარს. ომის გამოცხადების პირველივე დღეს დაიწყო ბრძოლა ომის მეორე ასპარეზზეც – კავკასიაში. კავკასიის არმიის ნაწილები, განლაგებული ოზურგეთში, ახალციხეში, ალექსანდროპოლსა და იგდირში, გადავიდნენ საზღვრებს და შეტევა განავითარეს ოსმალეთის ტერიტორიაზე (მეგრელიძე 1974: 66). „დღეს, 12 აპრილს, ხელმწიფე იმპერატორმა მოაწერა ხელი კიშინევში უმაღლეს მანიფესტს, რომლითაც ოსმალეთსს ომი ეცხადება, და ჩვენს საზღვრებზე დაყენებულ ჯარებს ებრძანათ, რომ ოსმალეთის საზღვრებზე გადავიდნენ“ (წერილი რედაქტორთან 1877ა: 1). დროებაში დაიბეჭდა აგრეთვე კავკასიის არმიის მთავარსარდლის გენერალ მიხეილ რომანოვის მიმართვა ჯარისადმი: „კავკასიის ჯარო! ყოვლად მპყრობილი უფლება ხელმწიფე იმპერატორისა მოგიწოდებსთ თქვენ, რათა თოფ-იარაღით დაიცვათ პატივი და ღირსება ჩვენის სამშობლოისა. თქვენ მიგიძღვით ჩინებული წარსული კავკასიის არმიისა; თქვენ წინ არიან მინდორნი და სიმაგრენი, გასისხლებულნი თქვენის მამებისა და ძმების სისხლით! წინ! ღვთით სამშობლოსა და დიდის ხელმწიფისთვის! – სარდალი კავკასიის არმიისა ღენერალ-ფელცეხმეისტერი მიხაილი“ (წერილი რედაქტორთან 1877ა: 1).

ქართველი ხალხი ომის გამოცხადებას როგორც მოსალოდნელი იყო ერთობ სიხარულით შეხვდა. თბილისსა და სხვა ქალაქებში საზეიმო ვითარებაში აღი-

ნიშნა ეს მოვლენა. მოსახლეობა ყველგან სტუმართმოყვარეობით ხვდებოდნენ ომში მიმავალ მეომრებს. წირვა-ლოცვები ეწყობოდა ტაძრებში და უფალს სთხოვდნენ ომში გამარჯვებას. „ძლივს, როგორც იყო ვეღირსეთ! დიდხანს კი მოველოდით, დიდხანს კი გვიცემდა გული, რომ გადაწყვეტილი შეგვეტყო: ომი იქნებოდა თუ მშვიდობიანობა? ბოლოს გადაწყდა: ომია... ძნელი რამ არის ომი. ძნელია განსაკუთრებით იმ ქვეყნისთვის, სადაც ბრძოლა ტყდება, რომელიც ბრძოლის ველად ხვდება... მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არ არის; ახლა ჩვენს მოვალეობაზე და იმ დიდ როლზე უნდა ვილაპარაკოთ, რომელიც გვეძლევა ამ ომის ატეხის გამოისობით“ (წერილი რედაქტორთან 1877ბ: 2).

12 აპრილს საომარი მოქმედებები დაიწყო. კავკასიის არმიის სარდლობამ ომის დაწყებისთანავე მიმართა მოსახლეობას, რუსეთის ჯარი თურქეთის არმიას ებრძვის და მოსახლეობას საშიშროება არ ემუქრებაო. კავკასიის არმიის მთავარსარდლის მიხეილის მიმართვა აჭარისა და ქობულეთის მცხოვრებლებს: „აჭარისა და ქობულეთის მცხოვრენო! რუსეთის იმპერატორის ნებით, ჩემს ხელქვევით მყოფი კავკასიის ჯარი თქვენს ქვეყანაში შემოდის... ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენი ჯარის მანდ ყოფნა, ერთმანეთის სიძულვილი და მტრობა კი არა, ჩვენსა და თქვენს შუა, შვილნო კეთილშობილის ქართველთა ტომისანო, ერთმანეთის დაახლოება და სულიერი კავშირი დაემყარებინოს“ (წერილი რედაქტორთან 1877გ: 1).

იმ დროს შექმნილი იყო შემდეგი სამილიციო ნაწილები: ქუთაისის ცხენოსანი არარეგულარული პოლკი, გურიის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ქვეითი ლაშქარი, პირველი და მეორე ქვეითი ქართული ლაშქარი, ახალციხის ცხენოსანი არარეგულარული დივიზიონი, თიანეთის ცხენოსანი არარეგულარული ასეული, ბორჩალოს ცხენოსანი არარეგულარული ასეული, სოხუმის ცხენოსანი არარეგულარული დივიზიონი, ქუთაისის თავადაზნაურების პირველი, მეორე და მესამე ცხენოსანი დივიზიონი, სამურზაყანოს მილიციის ასეული, თელავის ქვეითი მილიციის მეორე ლაშქარი, სამეგრელოს პირველი და მეორე ცხენოსანი დივიზიონი და მრავალი სხვა (ხოხლენკო 1963: 14). ქართული ჯარების უმეტესობა დასავლეთ საქართველოში რიონისპირა მხარეში იყვნენ განლაგებულნი, რადგან ეს მხარე სამხედრო თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ აქ განლაგებულ საომარ ნაწილებს „რიონის რაზმი“ ეწოდა (მეგრელიძე 1956: 54).

რიონის რაზმის მხედართმთავარმა ოკლობჟიომ ომის დაწყების პირველივე დღეს მიმართა რუს მეომრებს და მოუწოდა, რომ არ შეელახათ მოსახლეობის ტრადიციული ზნე-ჩვეულებანი და უხეშობა არ გამოეჩინათ. მისი მიმართვა მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „დაე, გვახსოვდეს, რომ ჩვენ წინ გაშლილია მინდვრები და მთები ძველი ქრისტიანული საქართველოსი, რომლის მოსახლეობა წარმოშობითა და ენით ეკუთვნის იმ ერთ ოჯახს, რომელთა ათასობით მილიციელები და მოლაშქრეები ამჟამად ჩვენს რიგებში დგას საერთო საქმისთვის“ (სცსა ფონდი №485: საქმე №4653, ფურც. 77).

რუსეთის ჯარის მიერ საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთანავე ქობულეთის მოსახლეობამ რუსეთის მხარეზე გადასვლა დაიწყო. გადამსვლელთა

რიცხვი ყოველდღე იზრდებოდა, როგორც ცალკეული პირების, ისე ჯგუფების სახით. ქობულეთელი ყურშუმ-აღა ჭყონია მისდამი დაქვემდებარებულ ქობულეთელ ცხენოსანთა 150 კაციანი მებრძოლით გადავიდა ქართველ მებრძოლთა მხარეზე (კომახიძე 1997: 97). ამის გამო ოსმალებმა ყურშუმ ჭყონიას სახლ-კარი გადაუწვეს, ცოლ-შვილი კი თურქეთში გადაუსახლეს. სოფელ ქაქუთის მაჰმადიანურმა მოსახლეობამ თავი რუსეთის ქვეშევრდომად გამოაცხადა. ომის დაწყებისა და საზღვრის მდინარე კინტრიშზე გადაწევის შემდგომ კი უკვე სოფ. ქობულეთის 26 კომლი გადავიდა რუსეთის მხარეს.

ხალხური გადმოცემით, 60 კომლზე მეტი მოსახლე დედე-აღა ნიჟარაძე, ესედ-აღა წილოსანი, ყურშუმ-აღა ჭყონია, ისმაილ-ეფენდი მჟავანაძე, შირინ-აღა ინაიშვილი, ახმედ-აღა გუგუნავა, ალი-აღა შაქარ-ოღლი (შაქარიშვილი), სეფერ-აღა ჭყონია და სხვები რუსთა მხარეზე გადავიდნენ აღნიშნული პირები იესე გურიელის დახმარებით გადასულან ოზურგეთში და გადანაწილებულან გურიის სხვადასხვა სოფლებში (ახვლედიანი 1956: 120).

გენერალი ოკლობჟიო აქტიურად ხვდებოდა აჭარა-ქობულეთის ბეგებს. ის ასკვნიდა, რომ „ქობულეთელები არ არიან გამსჭვალული არც რუსებისადმი სიძულვილით და არც თურქებისადმი ერთგულებით“ (სცსა ფონდი №1087: საქ. №509, ფურც. 8). უდიდესი დამსახურება აქვს ომის პერიოდში ქართველთა გადმობირების საქმეში გენერალ გრიგოლ გურიელსაც, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა აჭარა-ქობულეთის აღა-ბეგებში. ომის პერიოდში გაზეთ „გოლოსის“ კორესპონდენტი გიორგი წერეთელი, რომელიც ახლობლობდა გრიგოლ გურიელთან, ჯერ კიდევ 1877 წელს წერდა: „აღიარებულმა პატიოსნებამ და ოსმალეთის საქართველოში მათ თანამეტომეთა მიმართ უდავო დამსახურებამ ზოგიერთ პირებს გურიელ თავადთაგან აჭარისა და ქობულეთის მოსახლეობის გულითადი მადლიერება მოუპოვა... მას დიდი ხნიდან ჰქონდა ურთიერთობა ოსმალეთის საქართველოს ყველა მნიშვნელოვან გვართან, ურჩევდა მათ ახლოს ყოფილიყვნენ ჩვენთან და აღმოსავლეთის საკითხის სცენაზე კვლავ გამოჩენის შემთხვევაში მზად ყოფილიყვნენ რომ ხელსაყრელი მომენტით ესარგებლათ და ჩვენთან შემოგვერთებოდნენ. მიმდინარე კამპანიის დაწყების წინ ძლიერ ხშირად ვსარგებლობდით მისი მითითებით აჭარლებთან და ქობულეთელებთან ურთიერთობაში“ (წერეთელი 1973: 40).

რუსეთის მხარეზე გადასვლის მსურველი ბევრი იყო, თუმცა ადგილობრივი ბეგების აგიტაციისა და ხალხის დასჯის შიშით ბევრი ვერ ბედავდა. ისინი მოუწოდებდნენ მოსახლეობას არ გადასულიყვნენ რუსეთის მხარეს, რადგან რუსების წასვლის შემდეგ ისინი სულთნის ხელში ჩავარდებოდნენ და სასტიკად დაისჯებოდნენ.

სამხედრო მოქმედებების დაწყების წინ საომარი ოპერაციების ზონაში მეტად სავალალო მდგომარეობაში იყო სამიმოსვლო გზები. ძლიერი წვიმებისა და ადიდებული მდინარეების გამო, ფაქტობრივად, წარმოუდგენელი იყო გადაადგილება. საომარი ოპერაციების წარმატებით ჩატარებისთვის აუცილებელი იყო გზებისა და ხიდების წესრიგში მოყვანა. გურიის გზების სათანადო შესწავლის შემდეგ კი რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო სასწრაფო ზომების

მიღება. აღსანიშნავია მათ მიერ ჩატარებული აღდგენითი სამუშაოები და მდ. რიონზე აგებული ხიდი. გზების წესრიგში მოყვანა კავკასიის მეფისნაცვლის ბრძანებით 1877 წლის იანვარში დაიწყო და მაისისთვის სრულად გაყვანილი იყო. აღსანიშნავია რომ ამ პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ადგილობრივი მოსახლეობაც.

გზების შეკეთების შემდეგ მთავარი ყურადღება მიექცა სამხედრო ძალების ორგანიზებას, რათა ჯარების გარკვეული ნაწილი განლაგებულიყო საომარი პუნქტების მიხედვით. მაგალითად, 17 ბატალიონი, 8 ასეული და ბატარეა ომის შემთხვევაში განკუთვნილი იყო ბათუმის მიმართულებით წინ წასაწევად (ბეჟიტაშვილი 2014: 106-112).

ომის დაწყებამდე დასავლეთ საქართველოში რუსეთის ჯარების სარდალს გენ. ოკლობჟიოს უკვე მზად ჰქონდა კარგა ხნით ადრე შედგენილი სამხედრო გეგმა. ამ გეგმით ომის გამოცხადების შემდეგ ჯარი სასწრაფოდ უნდა გადასულიყო საზღვარზე და დაეკავებინა ქობულეთი და იმ დღესვე მიახლოებოდა ციხისძირს. ამავე დროს მთავარ ძალებს უნდა შემოევლოთ ციხისძირის პოზიციებისთვის და სწრაფი იერიშით მეორე თუ მესამე დღეს შესულიყო ბათუმში (იაშვილი 1948: 139). შემდეგი ამოცანა რუსთა გეგმაში იყო მდ. კინტრიშის ჩრდილოეთი მხარის და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სოფ. ხუცუბნის დაკავება.

დეპეშა ოსმალეთთან ურთიერთობის გაწყვეტისა და შეტევაზე გადასვლის შესახებ კავკასიის მეფისნაცვალმა მიიღო 1877 წლის 11 აპრილს. მან განკარგულება გასცა რუსეთ-ოსმალეთის საზღვარზე განლაგებულ რუსეთის რაზმებს შეჭრილიყვნენ ქობულეთის მიდამოებში (ბეჟიტაშვილი 2014: 106-112). „აპრილის 12-ს, მთელი ჯარების კრების წინაშე პარაკლისი იქნა გადახდილი და ომის დაწყების თაობაზედ ოფიციალურად გამოეცხადათ. ურას ყვირილი ჯარმა სიხარულით სამჯერ გაიმეორა“ (ვოლკოვნსკი 1884: 383). დილით სამად გაყოფილმა ჯარმა გადალახა მდ. ჩოლოქი, რომელიც საზღვარი იყო რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის და ბრძოლები გააჩაღა ბათუმის მიმართულებით. ავანგარდში მოქმედებდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რაზმი, რომელიც ომის წინა დღეს მოსაზღვრე გურულებისგან შეიქმნა და რომლებმაც ყველაზე კარგად იცოდნენ თურქების დაქვემდებარებაში მყოფი მოსაზღვრე ტერიტორიები (ქვემო გურია), ამიერიდან ამ რაზმს ქობულეთის რაზმი ეწოდა. ქობულეთის რაზმი, თავის მხრივ, ორი რაზმისგან შედგებოდა: ჩოლოქის გენ. დანიბეგაშვილის უშუალო მეთაურობით და ოზურგეთის სათადარიგო გენ. შელემეტიევის მეთაურობით. ომის მონაწილე ოფიცერი კოლიუბაკინი, რომელიც ქობულეთის რაზმში იბრძოდა, თავის მოგონებებში ქართული მილიციის მაღალ საბრძოლო თვისებებზე მოგვითხრობს. იგი წერს: „სალაშქრო ცხოვრებასთან შეგუებული ფეხსაცმელი საშუალებას აძლევს გურულებს ადვილად ავიდნენ ციცაბო კლდოვან მაღლობებზე. თავი შეხვეული აქვთ ყაბალახით, ფართო ქამარზე ჰკიდიათ ყოველივე აუცილებელი, რაც საჭიროა ბრძოლისა და ლაშქრობისთვის, ტყავის დასაკეცი პატარა ჭიქის ჩათვლით... ჩვენ გვქონდა შემთხვევა, დავრწმუნებულიყავით გურული მილიციონერების უპირატესობასა და ღირსებაში, რომელიც გამოდიოდა თავისი ნაციონალური ჩაცმულობით, რაც

მათთვის სალაშქრო ჩაცმულობაც არის, და წარმოადგენდა მრავალწლოვანი სამხედრო გამოცდილებით შეიარაღებულ შავი ზღვის სანაპიროს იდეალურ ქვეით ჯარისკაცს“ (ხოხლენკო 1963: 15).

12 აპრილსავე გენერლები დანიბეგოვი და შელემეტიევი შეიჭრნენ სოფელ ლეღვაში და აიღეს ის. თურქეთის საზღვრის გადალახვის შემდეგ განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლები გაჩაღდა მუხაესტატესთან, სადაც ქობულეთის რაზმი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ბრძოლა მიმდინარეობდა ყოველი სოფლისა და სიმაღლისთვის. რუსეთის ჯარების კოლონებს უნდა აეღოთ მუხაესტატეს სიმაგრეები (მეგრელიძე 1956: 58). „14 აპრილს, რიონის ატრიადის უფროსის ღენერალ-ლეიტენანტის ოკლობჟიოსგან მოვიდა ამბავი, რომ 13 აპრილს, საღამოს 6 საათზე, ღენერალ-მაიორის დონიბეკოვის ხელქვევით მყოფმა ჯარმა, გაცხარებულის ბრძოლის შემდეგ, დაიჭირა ოსმალოებისგან დატოვებული ბანაკი მუხაესტატესთან. ამ შეტაკების დროს, რეგულარულს ჯარს გარდა, განსაკუთრებული სიმარჯვე გურიის დრუჟინამ გამოიჩინა. ჩვენის მხრით 30 კაცი დაიხოცა, პოლდპოლკოვნიკი მუსხელოვი დაჭრილა. გზები და ადგილები ძალიან აძნელებენ ჯარის მოძრაობას“ (წერილი რედაქტორთან 1877ბ: 1).

14 აპრილს ქობულეთის რაზმი ძლიერი ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდა. ოკლობჟიომ უბრძანა გურიის ლაშქრის მეოთხე ასეულის უფროსს კაპიტან მაყაშვილს, რომ აეღოთ ის სიმაღლე, რომელზედაც მტერი იყო განლაგებული. მათ მართლაც სწრაფად დაიკავეს სიმაღლე. სწორედ ამ ბრძოლაში დაიღუპა 16 მამაცი ლიხაურელი, რომლებიც მოხალისეებად ჩაეწერნენ ასეულში საბრძოლო ოპერაციების დაწყების წინ დღით. განსაკუთრებული გმირობისთვის ქობულეთის რაზმის წინ კაპიტან მაყაშვილს გადაეხვია ლაშქრის მეთაური იასე გურიელი. მაყაშვილს წმინდა ანას მეოთხე ხარისხის ორდენი უბოძეს წარწერით „მამაცობისთვის“ (მეგრელიძე 1974: 73).

15 აპრილს მუხაესტატეს სიმაღლეებზე გურიის ლაშქარს ვახმისტრ ჯამულეთ ბაჟუნაიშვილი ხელმძღვანელობდა. მიღწევებით გატაცებული მეომრები თავის ნაწილს მოწყდნენ, რა დროსაც მოწინააღმდეგის დიდ საჯარისო ნაწილებს შეეჯახნენ, თუმცა უკან არ დაუხევიათ და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლეს (მეგრელიძე 1956: 56). გენერალ შელემეტიევის მარჯვენა კოლონამ 6 ბატალიონით, 4 ასეულითა და 32 ქვემეხით ოჩხამურის გავლით 14 აპრილს მივიდა მუხაესტატეში ისე, რომ ამ მანძილის გავლისას მტერი არ შეხვედრია. 15 აპრილს დიდი ბრძოლების შემდეგ აღებულ იქნა მუხაესტატე.

ოზურგეთი-ბათუმის მიმართულებით მოძრაობას ართულებდა ცუდი ამინდები და ადგილობრივი პირობები. მარჯვენა ფლანგზე ზღვის სანაპიროზე მოქმედ ნაწილებს ჭაობიანი ადგილების გადალახვა უხდებოდა, ხოლო მარცხენა ფლანგზე მოქმედ ნაწილებს ტყით დაფარული ადგილები ჰქონდათ გასავლელი (მეგრელიძე 1956: 58).

„მუხა-ესტატე, რომელზედაც ჯარი დაბანაკდა, წარმოადგენდა პატარ-პატარა გორაკებს, გავსებული ხევებით და ხრამებით. მარჯვნივ, შვიდს თუ რვა ვერსტის მანძილზედ, შავი ზღვა გადაშლილიყო, რომლის ნაპირზედაც საამო სურათად მოჩანდა ჩურუ-ქსუს პატარა ქალაქი, და მარცხნივ კი ჯიხან-ჯირის

ქედები მიიხლაკნებოდნენ; წინ კი, ე.ი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ ჩამოუდიოდა დაკლაკნილი მდინარე აჩკუა. ამას იქით მოჩანდა პერანგას ფერდობები, რომელზედაც ფიცრის პაწაწა სახლები აეშენებინათ. ამ მთას თავზედ წამოსდგომოდა დაჭმუხვნილი და გამედგრებული ხუცუბანის თავი, რომელიც მბრძანებლად დაჰყურებდა იქაურობას“ (ვოლკოვნსკი 1884: 386). ალექსანდრე ფრენკელზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ პირველი შეტაკებების დროს მუხაესტატესტან მოწინააღმდეგის მხრიდან მხოლოდ ქობულეთის მილიცია იბრძოდა ყოველგვარი თურქული რეგულარული ჯარის (ნიზამის) დახმარების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ 1877 წლისთვის ბათუმის კორპუსის სარდალ მუშირ დევრიშ ფაშას დაქვემდებარებაში ჰყავდა კარგად შეიარაღებული 35 ათასიანი კორპუსი და საკმაოდ ძლიერი საზღვაო ფლოტი. ოსმალთა ჯარების რაოდენობაზე და განლაგებაზე ცნობებს გვაწვდის აგრეთვე გაზეთი დროება: „ბათუმის კორპუსი შედგება 26 ბატალიონისგან; აქედან 6 ბატალიონი თვითონ ბათუმში დგას და დანარჩენი 20 ბათუმიდან მოყოლებული რუსის საზღვრამდინ, მომეტებული ნაწილი ციხისძირში; ამას გარდა 8 ბატალიონი აჭარის სანჯაყში, მდ. აჭარის დაყოლებლივ, სულ 34 ბატალიონი. 3 როტა საპიორები და ციხის არტილერია (ზარბაზნები) ბათუმში“ (წერილი რედაქტორთან 1877დ: 3).

დრუჟინა მუხაესტატეში 28 აპრილამდე გაჩერდა და მდ. აჭყვას მეორე მხარეზე არ გადასულა. ამ ხნის განმავლობაში მუხაესტატეში მდგარი ქობულეთის რაზმი მუდმივი სროლების ქვეშ იყო. განსაკუთრებით გაცხარებული სროლები ჰქონდათ 16, 18, 22 და 26 აპრილს.

1877 წლის 29 აპრილისთვის სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი ხუცუბანი იყო. ეს იყო ტალახას სიმაღლეები. ამ სიმაღლეებიდან როგორც ხელის გულზე, ისე შეიძლებოდა დაკვირვება როგორც ოსმალების, ისე რუსების განლაგებაზე საზღვრამდე. ალექსანდრე ფრენკელი ასე აღწერს ხუცუბანს: „ხუცუბნის სიმაღლიდან დანახული ხედი თვალწარმტაცია. ავლებ თვალს განვლილ გზას, ხედავ უსაზღვრო სივრცეს მუხაესტატესკენ, მთებსა და დასახლებებს. შემდეგ, ზღვის პირას თვალწინ წარმოგიდგება ჩურუქ-სუ (ანუ ქობულეთი). უფრო შორს კი ძლივძლივობით მოჩანს ფოთის შუქურა. ჩურუქ-სუსკენ ოდნავ მარცხნივ თუ მობრუნდებით, თქვენ დაინახავთ მთების მასას. ეს არის ციხისძირი...“ (ფრენკელი 2012: 41). ხუცუბანს დეტალურად აღწერს ასევე გაზეთ „გოლოსის“ კორესპონდენტი გიორგი წერეთელი: „ხუცუბნის პოზიცია მთის სამ კონუსზეა განლაგებული, რომელთაგანაც საშუალო ყველაზე მაღალია და მოტიტვლებულია – აი, ეს არის სწორედ ხუცუბნის ცენტრალური პოზიცია. ამ მთების კონუსების პარალელურად ბარიერების მსგავსად, კანდიდის მთები მიემართება. ხუცუბნის წინ აღმართულია კიდევ მთის ერთი კონუსი აჭყვისთავის სახელწოდებით. ამ მთის ძირას აჭყვა მოედინება. ხუცუბნის მესამე კონუსი ზღვის მხარეს დიდი ტერასად წყდება, რომელიც ქალაქ ქობულეთზე ბატონობს“ (წერეთელი 1973 : 83).

გეგმის მიხედვით, 29 აპრილს დილით ქობულეთის რაზმს უნდა დაეკავებინა ხუცუბნის სიმაღლე, რომელიც მუხაესტატეს სიმაღლის მოპირდაპირედ მდებარეობს და მასზე 100 მეტრით მაღალია. ქობულეთის რაზმის უფროსი სწერდა

რიონისპირეთის მხარის ჯარების სარდალს, რომ ქობულეთის რაზმი უნდა გაეგზავნათ ციხისძირზე იერიშის მისატანად, რათა ხელთ ეგდოთ ეს სიმაღლე. ამ მიზნით აუცილებელი იყო ქობულეთის რაზმი გადასული შეტევაზე და მდ. კინტრიშზე გადასვლის შემდეგ დაიკავებდნენ ციხისძირს (ჭეიშვილი 1960: 7).

დანიშნულ საათს ბრძოლა დაიწყო საარტილერიო იერიშით. წინასწარმა საარტილერიო ბრძოლამ 5 საათის განმავლობაში განაპირობა შეტევის წარმატება. ოსმალებს სტრატეგიულად უკეთესი პოზიცია ჰქონდათ დაკავებული და იერიშებს მდ. აჭყვის მარცხენა სანაპიროდან ახორციელებდნენ. ქობულეთის რაზმის მარცხენა და მარჯვენა კოლონამ ცალ-ცალკე, მაგრამ საერთო კავშირით დაიწყეს შეტევა. მარცხენა ფლანგმა, პოლკოვნიკ თავადი ჭავჭავაძის მეთაურობით გადავიდა მდინარე კინტრიშზე და დაიწყეს სიმაღლეების დაკავება. აგრეთვე, რუსეთის ჯარს ოსმალებზე იერიში უნდა მიეტანათ, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ კვირიკეს, დაგვისა და ციხისძირის სიმაღლეებზე. ოსმალებმა ამ შეტევას ვერ გაუძლეს და უკან დახევა დაიწყეს. ამ ბრძოლაში თავი ისახელა დანიბეგაშვილის რაზმმა, რომელმაც იერიშით აიღო ხუცუბნის ყორღანი. ამ ყორღანს მებრძოლებმა დანიბეგაშვილის ყორღანი შეარქვეს (მეგრელიძე 1974: 72). მუხაესტატეში დარჩენილი დანაყოფი ამ ბრძოლაში უშუალო მონაწილეობას არ იღებდა და ბრძოლის დროს ისინი იცავდნენ არტილერიას, რომელიც მუხაესტატეს მაღლობიდან ეხმარებოდა იერიშის კოლონას. ხუცუბნის ბრძოლაში გამარჯვება ქართველ ხალხს გაზეთმა „დროებამ“ ახარა: „29 აპრილს, გუშინ ჩვენი მოწინავე ჯარი, ღენ-ლეიტენანტის ოკლობჟიოს წინამძღოლობით, გავიდა მუხაესტატეს პოზიციიდან და აიღო ფიცხელი ომის შემდეგ, მტრისაგან ძალიან გამაგრებული ადგილი ხუცუბანის მაღლობლებზე... ჩვენის მხრით დაიხოცა: 12 სალდათი და მილიციონერი“ (წერილი რედაქტორთან 1877ე: 1). გაზეთ დროებას კორესპონდენტი ვინმე გურული პირადად შესწრებია ხუცუბნის სიმაღლის დაკავების მომენტს, ის აღწერს: „საშინელ სანახაობას წარმოადგენდა მთელი ადგილი, ჩვენგან ნასროლი ზარბაზნებისგან დანგრეული და აოხრებულია“ (წერილი რედაქტორთან 1877ზ: 2).

მუხაესტატესა და ხუცუბნის სიმაღლეებზე მოპოვებული მიღწევები პირველი გამარჯვებები იყო რუსეთის არმიის, როგორც კავკასიის, ისე ბალკანეთის საბრძოლო ასპარეზზე. ამიტომ იყო, რომ ამ ბრძოლებში გამარჯვებამ მეფის ყურამდე მიაღწია. მეფე თავის მხრივ გამარჯვებას ულოცავდა კავკასიის არმიის მხედართმთავარს (მეგრელიძე 1956: 59). გამარჯვების აღსანიშნავად ქობულეთის ატრიადამ 2 მაისს ხუცუბანში, იმ ადგილს, სადაც ძველი ქართული ეკლესიის ნანგრევები იყო, პარაკლისი გადაიხადა (წერილი რედაქტორთან 1877ვ: 1).

16 მაისამდე რუსეთის ჯარის ქვედანაყოფები და რაზმები ემზადებოდნენ შემდეგი შეტევისთვის. ამ დროს ოსმალებს სამების სიმაღლე ჰქონდათ დაკავებული მდ. კინტრიშზე. მდ. კინტრიშზე ფეხით გადასვლა მხოლოდ რამდენიმე ადგილზე შეიძლებოდა, უკანასკნელი ხიდი კი ოსმალებმა გაანადგურეს 29 აპრილს უკან დახევის დროს. საჭირო იყო ახალი ხიდის აგება, რისთვისაც აუცილებელი იყო კინტრიშის ორივე მხარის დაკავება, ანუ სამების სიმაღლის

ხელში ჩაგდება. რუსეთის ჯარებმა ოპერაციას წარმატებით გაართვეს თავი და სამების სიმაღლე დაიკავეს. გამარჯვებებმა დიდი გავლენა იქონია ადგილობრივ მოსახლეობაზეც, რომელმაც თანდათან დაიწყო რუსების მხარეზე გადასვლა. „ბოლოს, ზემო ქობულეთის მცხოვრებლებს თითქოს ჩვენს მხარეს გადასვლა დაეტყოთ, მოდიოდნენ ჩვენს ბინაში მორჩილების გამოსაცხადებლად და მოჰქონდათ სწრაფ-მსროლი თოფები, რომელიც ოსმალეთის მთავრობას ჩვენთან საბრძოლველად იქაურის მცხოვრებლებისთვის დაერიგებინა. ქობულეთის რაზმის სარდალს ოსმან-ფაშა თავდგირიძეს, ჰსურდა გადაეხდევინებინა ჩვენკენ მომხრობილის სოფლებისთვის, და ამისთვის მცხოვრებთაგან მოაგროვა 300 კაცი და გაილაშქრა ზემო ქობულეთზეც, სოფელ ზენითზე“ (ვოლკოვნსკი 1884: 388). 20 მაისს ქობულეთის რაზმმა, ფლიგელ-ადიუტანტის გურჩინის ხელმძღვანელობით დაიკავა სოფელი ზენითი. ამის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკება ქობულეთის ბეგებთან – ალი ფაშა თავდგირიძესთან და მის ძმასთან – ოსმან ფაშასთან. ბეგები პასუხობდნენ: „აიღეთ ციხისძირი და ჩვენ შევწყვეტთ თქვენთან ბრძოლას“-ო (იაშვილი 1948: 139). ალი-ფაშას ასეთი პოლიტიკა დიდ ეჭვს იწვევდა ოსმალეთის სამხედრო წრეებში. ოსმალეთის სამხედრო მინისტრი დერვიშ-ფაშა მას ქართველებთან კავშირს აბრალებდა. ამას ემატებოდა საჩივრები, რომელთა მიხედვითაც თითქოს ალი-ფაშა თავის ნეფერს ულუფას და ფურაჟს არ აძლევდა. ხალხში ხმები გავრცელდა, რომ ალი-ფაშამ სულთნის ღალატი განიზრახაო. მაშინ ამის შესახებ ქობულეთელებმა ლექსი გამოთქვეს:

„ხვანთქარი და რუსი ჩხუბობს, იგი არის ორივეში,

ალი ფაშამ გვიღალატა, აგვიყვანა კვირიკეში,

მან რომ ფულები აიღო, ჩვენ დაგვტია რუსის ხელში...

კაი რომ არ დამართნია, ბაწრით ჩაითრიეს გემში;

მისი ყვირილი გვესმოდა სუფსას გაღმა ბაილეთში“ (წერილი რედაქტორთან 1891: 2).

ალი-ფაშასა და დერვიშ ფაშას შორის უკმაყოფილება საბოლოოდ ქართველი ბეგის სტამბოლში გასტუმრებით დასრულდა. ალი-ფაშას ქობულეთში დაბრუნების ნებართვა მხოლოდ ომის დასრულების შემდეგ მიეცა.

ოსმალთა ხელში რჩებოდა ჯერ კიდევ კარგად გამაგრებული კვირიკესა და დაგვის სიმაღლეები, რომელთა დასაკავებლად აქტიურად დაიწყეს მზადება ქობულეთის რაზმში. 2 ივნისს ოსმალებს ჰქონდათ მცდელობა შეტევისა სასადილოს მთაზე, რომელიც ქობულეთის რაზმის მიერ წარმატებულად იქნა მოგერიებული.

11 ივნისს ქობულეთის რაზმის ჯარები იერიშზე გადავიდნენ ოსმალეთის გამაგრებულ სიმაღლეებზე – კვირიკეზე, დაგვასა და ციხისძირზე. დილის 6 საათზე გავარდა პირველი ზარბაზანი ქობულეთის რაზმის მარცხენა ფრთიდან, რომელიც განლაგებული იყო სოფელ სამების ტყიან ფერდობზე. 7 საათისთვის საარტილერიო ბრძოლა მთელს ფრონტზე გაიშალა. ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო ოსმალეთის ჯავშნიანმა გემებმაც. გაჩუმებული იყო მხოლოდ ციხისძი-

რის პოზიცია, რადგან იქიდან ნასროლი ყუმბარები სიშორის გამო საბრძოლო პოზიციებს ვერ სწვდებოდა (ვოლკოვნსკი 1884: 392-393). ქობულეთის რაზმის ნაწილები იცავდნენ ხუცუბნისა და მუხაესტატეს პოზიციებს. 9 საათისთვის მიწყნარდა ოსმალების არტილერია, მაგრამ მალევე ბრძოლა გაჩაღდა. ქობულეთის რაზმის ნაწილები 4 საათი მოუნდა მდ. კინტრიშის გადალახვას. ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო პოდპოლკოვნიკმა თავადმა ჭავჭავაძემ და გურულთა პირველმა ქვეითმა რაზმმა. შუადღის 4 საათისთვის ქობულეთის რაზმის ნაწილები სოფელ კვირიკეს სიმაღლეს მიადგნენ. 12 ივნისის ბრძოლა გაგრძელდა 13 საათის განმავლობაში ვიწრო ხეობებში თითოეული სიმაღლისა და სახლისთვისაც კი. ბუნებრივი პირობების გამო გართულდა ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობა. როდესაც ჯარის ერთი ნაწილი შეტევაზე იყო გადასული, მეორე ნაწილი მხოლოდ მაშინ გადადიოდა მდ. კინრიშზე, რამაც მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეზე იერიშის განვითარება შეუძლებელი გახადა. ციხისძირის ოპერაცია უშედეგოდ დამთავრდა. ქობულეთის რაზმმა უკან დაიხია. რუსეთმა დაჭრილთა და მოკლულთა სახით დაკარგა ათასი კაცი, ხოლო ოსმალებმა კიდევ მეტი (მეგრელიძე 1956: 61). აქ ბრძოლებში მარტო ადგილობრივი მილიციელებიდან დააჯილდოვეს 26 ოფიცერი, 26 ურიადნიკი და 108 რიგითი მებრძოლი. კავკასიის ბრძოლის სხვა ასპარეზზე მოქმედ ნაწილთა დასახმარებლად გაგზავნილ იქნა ქობულეთის რაზმის რამდენიმე შენაერთი, რამაც არც თუ ისე ძლიერი რაზმი სრულიად დაასუსტა. ძალების შემცირების გამო რაზმს უნდა დაეტოვებინა, როგორც სამების, ისე ხუცუბნის სიმაღლეები. 18 მაისს ქობულეთის რაზმი დაუბრუნდა დისლოკაციის ადგილს და გამაგრდა მუხაესტატეს სიმაღლეებზე (მეგრელიძე 1956: 61). ოსმალებმა ისევ ხუცუბნისა და მდ. აჭყვის მარცხენა მხარეზე მდებარე მაღლობები დაიჭირეს და დაიწყეს სიმაგრეების მშენებლობა. ასე უშედეგოდ დასრულდა 1877 წელი ქობულეთის რაზმისთვის.

ციხისძირის შეტევის წარუმატებლობისა და მუხაესტატეში გამაგრების შემდეგ საბრძოლო მოქმედებები მიწყნარდა. ფაქტობრივად, ბრძოლის ამ მონაკვეთზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. „ჩვენი ქობულეთის რაზმი დიდი ხანია უმოქმედოდაა. არ წარმოებს დიდი სამხედრო ოპერაციები, სამაგიეროდ, ბევრია ერთობ სხვადასხვაგვარი მცირე მოქმედებები, საგუშაგოზე ცალკეული ჯგუფების მცირე შეტაკებები, უმნიშვნელოა სროლაც... ხდება კიდევ სხვა სახის ოინებიც. მაგალითად, შეიკრიბება ოცი, ოცდაათი ქობულეთელი, მიდიან წინასწარ შერჩეულ შემაღლებულ ადგილას, რომელიც უღრანი ტყითაა დაფარული და რამდენადმე ახლოა ჩვენს ბანაკთან, იცდიან იქ ღამის 10 საათამდე და უცბად აბეზარ სროლას ასტეხენ საგუშაგოებისა და ბანაკის მიმართულებით“ (წერეთელი 1973: 46).

ამ ხნის განმავლობაში მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ 19 ივლისს ჯარების მოსანახულებლად ფრონტის ხაზს ეწვია დიდი მთავარი, კავკასიის ჯარების მთავარსარდალი მიხეილ რომანოვი.

1878 წლის 6 იანვარს ქობულეთის რაზმის უფროსად დაინიშნა გენერალი კომაროვი. „პოზიციებზე გამოფენილი ჯარი მხნედ უცქეროდა და მხიარულად

ესალმებოდა თავის ახალ მეთაურს“ (წერეთელი 1973: 46). 7 იანვარს ქობულეთის რაზმის ახალმა მეთაურმა ოჩხამურის ბანაკი და მუხაესტატეს პოზიცია დაათვალიერა. ოჩხამურის ბანაკი განლაგებული იყო ჩავარდნილ ადგილზე, რომელიც ზღვისკენ იყო გაჭრილი. ოჩხამურის ბანაკის სამხრეთით აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, ზღვისაკენ ტერასებად ეშვებოდა მუხაესტატეს პოზიციის მაღლობები. ეს სიმაღლეები დასერილი იყო ხევებით, სადაც ჯარები იყო განლაგებული, ეს იყო მოსახერხებელი ადგილი მტრისგან დასაცავად, მაშინ, როცა ხუცუბანი ჯერ კიდევ ოსმალებს ეკავათ. 8 იანვარს ქობულეთის რაზმის ახალი უფროსი ხუცუბანში წავიდა. პოზიციების დათვალიერების შემდეგ გენერალი კომაროვი გაემართა ქუთაისში, სადაც შეხვდა მთავარსარდალს, იქიდან დაბრუნებულმა კი მთავარსარდლის სურვილის მიხედვით გადაწყვიტა იერიში მიეტანათ ციხისძირის პოზიციებზე.

16 იანვარს რაზმმა მიიღო ბრძანება მუხაესტატედან გადასულიყვნენ ხუცუბნის პოზიციებზე. ქობულეთის რაზმმა დაიკავა პოზიციები დანიბეგოვის ყორღანის მოპირდაპირედ. გურიის რაზმის მეთაურის, გენერალ ალხაზოვის აზრით, შესაძლებელი იყო ციხისძირის სისხლის ღვრის გარეშე აღება, მაგრამ არა ჩურუქ-სუდან, არამედ კინტრიშის ხეობიდან (ფრენკელი 2012: 143). ციხისძირის აღებას ართულებდა ჯერ ის გარემოება, რომ ზღვისპირა იყო და ოსმალები აქტიურად იყენებდნენ ფლოტს რიონის ჯარების წინააღმდეგ, ასევე მისი რთული მისადგომები. ციხისძირთან მისასვლელად, უპირველესად, მდ. კინტრიშის გადალახვა იყო საჭირო, შემდეგ აუცილებელი იყო სასადილოს მთის დაკავება და იქიდან ისევ სამების მთაზე ასვლა. დაღმართ-აღმართები, მთები და მდინარეები დიდ სირთულეს ქმნიდა ქობულეთის რაზმისთვის. 17 იანვარს ჯარებმა მიიღეს ბრძანება ოსმალებზე იერიშის მიტანის შესახებ. მოქმედებები უნდა დაწყებულიყო მეორე დღეს. ციხისძირის მაღლობებზე იერიშის მისატანად გენერალმა კომაროვმა სამი კოლონა დანიშნა: მარცხენა, შუა და მარჯვენა (გენერალ-მაიორთა შელემეტიევის, დანიბეგოვისა და შალიკოვისა). პირველ კოლონას იერიში სასადილოს მთაზე უნდა მიეტანა, მეორე კოლონას ოსმალთა სადგურებზე, ხოლო მესამე კოლონას ისე უნდა ემოქმედა, როგორ ბრძანებასაც რიონის ატრიადის უფროსისგან მიღებდა (ვოლკოვნსკი 1884: 382). მარცხენა კოლონამ შუაღამითვე დაიწყო გადაადგილება ციხისძირის მიმართულებით და რთული ბუნებრივი პირობების გამო 5 საათი მოუნდა კინტრიშამდე მისაღწევად. სასადილოს მთაზე იერიში უნდა მიეტანა ალექსანდროპოლის პოლკის მე-4 ბატალიონსა და ქართული რაზმის ნაწილებს. ამავე დროს, აუცილებელი იყო სამების სიმაღლის დაკავებაც, რომლის გარეშეც პოზიციის დაკავება წარმოუდგენელი იქნებოდა. დილის 6 საათზე ალექსანდროპოლის პოლკი და ქართული რაზმი შეტევაზე გადავიდნენ, ოსმალები მოულოდნელი შეტევისთვის მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ და უკან დახევა დაიწყეს. შეტევის პირველი ეტაპი წარმატებით დასრულდა. რუსულმა საჯარისო ნაწილებმა სასადილოს მთა დაიკავეს. რუსებისთვის საბრძოლო მოქმედებები გართულდა მას შემდეგ, რაც კინტრიშზე გადასული დანიბეგოვის რაზმი ძლიერი საარტილერიო შეტევის ქვეშ მოყვა, რამაც მისის წინსვლა შეაჩერა. ამას დაემატა გე-

ნერალ შელემეტიევის დაჭრა. ბრძოლის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელი გახდა. ქობულეთის რაზმმა უკან, ხუცუბნისკენ დახევა დაიწყო. ოსმალებმა ხელმეორედ დაიკავე სასადილოს მთა და შეტევა აღარ გაუგრძელებიათ (ვოლკოვნსკი 1884: 382).

18 იანვრის ბრძოლა, რომლის დროსაც რუსთა 14 ბატალიონი ცდილობდა ოსმალთა 25 ბატალიონის დამარცხებას უშედეგოდ დასრულდა. ოსმალების მხარეს, როგორც მთელი ომის განმავლობაში, ახლაც იბრძოდნენ ირეგულარული ჯარები ქობულეთელთა, აჭარელთა, ლაზთა და სხვა ადგილობრივ მაჰმადიანთა (ვოლკოვნსკი 1884: 383).

1878 წლის 18 იანვარს ქალაქ ადრიანოპოლში ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიებს შორის დროებითი ზავი დაიდო. ქობულეთის რაზმის უფროსმა გენერალმა ოკლობჟიომ ზავის დადების შესახებ ცნობა 22 იანვარს მიიღო და დაიწყო მოლაპარაკება ბათუმის კორპუსის უფროსთან დერვიშ-ფაშასთან. საზავო მოლაპარაკებებისთვის შეიქმნა კომისია, რომელსაც რუსეთის მხრიდან გენერალი დუხოვსკი, ხოლო ოსმალეთის მხრიდან ხუსეინ-ფასა ხელმძღვანელობდა. მხარეები შეთანხმდნენ: 1) დაეწესებინათ ნეიტრალური ხაზი; 2) ადგილებზე უნდა დარჩენილიყო ძველი ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა; 3) თავის ზონაში თითოეულ მხარეს უფლება ეძლეოდა თავისუფლად ემოქმედა (მეგრელიძე 1956: 68). მოლაპარაკებების წარმოების პროცესში მხარეებს შორის შეტაკებას საქმე არ ჰქონია.

გენერალ ოკლობჟიოსა და ბათუმის კორპუსის მეთაურის დერვიშ-ფაშას შეხვედრას დაწვრილებით აღწერს გიორგი წერეთელი: „დერვიშ ფაშა ზეიმით შეხვდა გენერალ ოკლობჟიოს ციხისძირში და დიდი პატივისცემის ნიშნად, ციხისძირის ნავსადგომთან გადასვლის დროს გადაეხვია მას. შემდეგ ოფიციალური სადილი გაიმართა 15 კერძისგან. ორივე ჯარების უფროსები ერთმანეთისადმი ძლიერ ყურადღებიანები იყვნენ. სჯა-ბაას რვა კაცი ესწრებოდა. დერვიშ ფაშა ოკლობჟიოს პირდაპირ იჯდა; დროგამოშვებით ისინი მეგობრულ საუბარში სერბიულ ენას იყენებდნენ, რომელსაც ორივე მშობლიურ ენად თვლიდა... გენერალ ოკლობჟიოსთან საუბარში დერვიშ ფაშამ აღიარა, რომ თავისი მთავრობისგან მას არავითარი უფლებამოსილება არ გააჩნია ბათუმის სანჯაყის დაცლის უკანასკნელი ვადის შესახებ“ (წერეთელი 1973: 131).

1978 წლის 19 თებერვალს სან-სტეფანოში ხელი მოეწერა დროებით საზავო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი დასრულდა. საზავო ხელშეკრულების მიხედვით რუსეთს ოსმალეთისგან უნდა მიეღო 1.400 მილიონი მანეთი ან ამის ნაცვლად – ბათუმი, არტაანი და ყარსი (იაშვილი 1948: 142). დროებითი ზავის პირობები უნდა განხილულიყო ბერლინის კონგრესზე. ბერლინის კონგრესმა მუშაობა დაიწყო 1878 წლის 13 ივლისს. მასში მონაწილეობას ევროპის სახელმწიფოთა 20 წარმომადგენელი იღებდა. რუსეთის მხრიდან კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საგარეო საქმეთა მინისტრი გორჩაკოვი, რუსეთის ელჩი ინგლისში შუვალოვი, ინგლისის მხრივ მთავრობის მეთაური ბიკონსფილდი, საგარეო საქმეთა მინისტრი სოლბერი და ოდო როსალი (მეგრელიძე 1956: 77). ყველაზე დიდი წი-

ნააღმდეგობა ევროპის სახელმწიფოებს შორის მოხდა ბათუმის საკითხთან დაკავშირებით. ბათუმი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და საუკეთესო გემმისადგომით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნავსადგური იყო შავ ზღვაზე. განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობა გაუწია რუსეთს ინგლისმა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ბათუმის რუსეთისთვის გადაცემას. ბინკოსფილდს სჯეროდა, რომ თუ ბათუმი ოსმალთა ხელში დარჩებოდა, ყოველთვის შეძლებდა მის გამოყენებას სათავისოდ. საბოლოოდ ბათუმის საკითხი გორჩაკოვსა და ბიკონსფილდს შორის ცალკე სხდომაზე გადაწყდა. ბიკონსფილდი თანახმა იყო დათანხმებოდა ბათუმის რუსეთის დაქვემდებარებაში გადაცემას, იმ შემთხვევაში, თუ ბათუმი იქნებოდა თავისუფალი სავაჭრო ქალაქი, რომ იგი არ იქნებოდა გამაგრებული, როგორც სამხედრო პუნქტი. კონგრესის გადაწყვეტილებით ოსმალეთი რუსეთს უთმობდა არტაანს, ყარსსა და ბათუმს. კონგრესის დადგენილებით რუსეთს შემოუერთდა ძველი სამცხე-საათაბაგოს შემდეგი ნაწილები: ბათუმის, ართვინის, ოლთისის და არტაანის ოლქები – ე. ი. ქობულეთი, აჭარა, შავშეთი, ლივანა, ჭანეთის ნაწილი, კოლა, არტაანი, ერუშეთი, ფოცხოვის და ჯაყის წყლის ხეობა (მეგრელიძე 1956: 77). ბათუმი გამოცხადდა პორტო-ფრანკოდ. ინგლისის ხელისუფლება ოსმალეთთან ერთად ადგილობრივ პროვოკაციებს აწყობდა და ძალადობრივად ამხედრებდა ადგილობრივ მოსახლეობას რუსების მიმართ. „რაც შეეხება ბათუმის მხარეს, არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ, რომ აქ ამთავითვე მომეტებული სიფრთხილე და წინ-დახედვა გვმართებს. უცხო ქვეყნის გაზეთები გვამცნობენ, რომ უკანასკნელ ხანებში ბათუმისკენ ინგლისისა და ოსმალეთის დანდობილნი პირნი დაიარებოდნენ და აქეზებდნენ ხალხს რუსეთის წინააღმდეგო, უქადაგებდნენ რუსეთის სიძულვილსაო“ (წერილი რედაქტორთან 1878: 1).

ბერლინის კონგრესის დადგენილების შემდეგ გადიოდა თვეები და ოსმალეთის ჯარები ჯერ კიდევ მაინც ბათუმში იდგა. იმ დროს, როდესაც რიონის მხარის ჯარების სარდალი გენერალი ოკლობჟიო მოლაპარაკებებს აწარმოებდა ოსმალეთის მუშირთან დერვიშ-ფაშასთან, ბათუმის საკითხის საბოლოოდ შესათანხმებლად შედგა რუსეთ-ოსმალეთის ერთობლივი კომისია. რუსეთის მხრიდან დელეგაციის მეთაური გახლდათ კავკასიის ჯარების მთავარსარდლის თანაშემწე გენერალ-ადიუტანტი სვიატოპოლკ-მირსკი. კომისიაში ასევე შედიოდნენ: გენერალი თავადი ტრუბეცკოი, პოლკოვნიკი თავადი გრიგოლ გურიელი და ბათუმის ყოფილი ვიცე-კონსული ჯიუდიჩი. ოსმალეთის მხრიდან კომისიაში მონაწილეობდნენ გენერლები: ნაით-ფაშა, ალი-ბეი და რამდენიმე დიპლომატი. ამ კომისიას უნდა მოეწესრიგებინა ბათუმის მხარის მიღება-ჩაბარების ღონისძიებები. კომისიის სხდომა გაიმართა ქუთაისში 12-20 აგვისტოს (კარალიძე 2009: 40). კომისიის შეთანხმებით 1878 წლის 25 აგვისტოს ოსმალეთი ბათუმიდან ჯარებს გაიყვანდა. ასევე შეთანხმების მიხედვით, რუსეთს უნდა დაეკავებინა ჩურუქ-სუ, სამება და კვირიკე 17 აგვისტოს, ციხისძირი 21 აგვისტოს, ჩაქვი 24 აგვისტოს.

როდესაც განმათავისუფლებელი ლაშქარი შევიდა ქობულეთში, რუსეთის სარდლობა ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. აჭარა-ქობულეთის მთელ

მოსახლეობას გამოეცხადა გენერალ სვიატოპოლკ-მირსკის ბრძანება, რომლის მიხედვითაც ოჯახები, ქონება, რელიგია და ადგილობრივი მმართველობა ხელუხლებელი დარჩებოდა. ადგილობრივი მოსახლეობიდან პირველი გულო კაიკაციშვილი მიესალმა ქობულეთში შესულ ლაშქარს: „ჩვენო ქართველებო, ჩვენო ძმებო, ნათესავებო და ბიძაშვილებო! თქვენი ჭირიმე, რომ ჩემმა თვალებმა გიხილეს დღეს ჩვენი ძველი ძმები!... ვმადლობ ღმერთს და პატივს ვცემ მის განგებას, რომ ჩვენი და თქვენი ნატვრა შესრულდა. ღმერთმა შეგვაერთა. გავძლიერდებით ჩვენ, ავმაღლდებით სულით, გულით.. ამ ერთიანობის სიყვარულით აღსდგება და გაძლიერდება საქართველო...“ (კომახიძე 1997: 92).

25 აგვისტოს რუს-ქართველთა ჯარებმა ბათუმი დაიკავეს. ჯარს წინ მიუძღოდა კავკასიის არმიის მხედართმთავრის მოადგილე გენერალ ადიუტანტი სვიატოპოლკ-მირსკი. „თავადი მირსკი მიესალმა ბათუმის წარმომადგენლებს და შეჰპირდა მათ სრულს ხელშეუხებლობას, კანონით დაცვას ყოველგვარი შევიწროვებისგან და მათ ყველა საჭიროებაზე თვით ბათუმში დაწვრილებით მოლაპარაკებას“ (ფრენკელი 2012: 83). რუს გენერალს მოქალაქეებმა პურ-მარილი მიართვეს. ოსმალებმა 31 აგვისტოს დევრიშ-ფაშას მეთაურობით საბოლოოდ დატოვეს ბათუმი.

აჭარა-ქობულეთის შემოერთებას დიდი აღტაცებით შეხვდა ქართული პრესაც. ეს კარგადაა გამოხატული ილია ჭავჭავაძის სიტყვებში: იგი წერდა: „ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“ ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, – დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“ (ჭავჭავაძე 1955: 18).

1878 წლის ნოემბერში დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით, ქართველმა ინტელიგენციამ თბილისში მიიწვია ბათუმის ოლქის დეპუტაცია. სტუმრები იყვნენ სულ 16 კაცი. მათ შორის იყვნენ: ჰუსეინ-ბეგი აბაშიძე, ბეჟან-ოღლი, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი და სხვები. მასპინძელთა რიცხვი 90 კაცამდე იყო, მათ შორის იყვნენ: გ. ორბელიანი, ი. ანდრონიკაშვილი, გ. წერეთელი, ა. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ს. მესხი და სხვები. მგზნებარე პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა: „ახლა ვხედავთ, ჩვენი წინაპრების დაპირებები აქეთაც და იქითაც შენახულა და ამით სჩანს, რომ ჩვენს შორის ძმური კავშირი თურმე არასოდეს არ ყოფილა მოშლილი. დღემდე თუ ცალ-ცალკე შეგვინახავს ის ანდერძი, დღეს უფრო ადვილად და ძლიერად ავასრულებთ, თუ კი ძმურად მივცემთ ერთმანეთს ხელს, დავადგებით ერთ გზას და მივმართავთ ერთ მიზანს“ (სცსა ფონდი №4: საქ. №56, ფურც. 62). დიდი გულმოდგინებით ისმენდა დამსწრე საზოგადოება შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის მგზნებარე სიტყვებსაც: „დღეს, როდესაც ერთად ვართ, ღმერთმა ქნას მეცა და ჩემ თანამოძმეთაც საქმით დაგვემტკიცებინოს ჩვენგან მოსალოდნელი კეთილშობილური მოქმედება. შეერთებული ვიყოთ მტკიცედ, ძმურად, ჩვენის დიდი ხნით აქეთ დაშორებულ მრავალრიცხოვან ძმებთან. სულით, გულითა და ყოველ კეთილგანწყობილებითა ხელი ხელს მიგვეცეს და გადაგვედგას ის გმირული ნაბიჯი, რითაც განთქმულნი იყვნენ ჩვენი წინაპარნი საქვეყნოდ“ (სცსა ფონდი 4. საქ. 56, ფურც. 62).

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა:

- **ახვლედიანი 1956:** ახვლედიანი ხარიტონ, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში. ბათუმი. აჭარის ასსრ „სახელგამი“, 1956;
- **ბეჟიტაშვილი 2014:** ბეჟიტაშვილი გიორგი, „რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომი და სამხედრო მოქმედებები დასავლეთ საქართველოში“– ათინათი / ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია. თბილისი, 2014, №4(14), გვ. 106-112;
- **იაშვილი 1948:** იაშვილი ვუკოლ, აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში. ბათუმი. აჭარის ასსრ „სახელგამი“, 1948;
- **კარალიძე 2009**: კარალიძე ჯემალ, აჭარა 1978-1903 წლებში. ბათუმი. შოთა რუსთაველის სახელმწ. უნ-ტის გამომცემლობა და სტამბა, 2009;
- **კომახიძე 1997:** კომახიძე თეიმურაზ, ქობულეთი და ქობულეთელები. ბათუმი, „გამომცემლობა აჭარა“, 1997;
- **მეგრელიძე 1956:** მეგრელიძე შამშე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისგან. ბათუმი. სახელმწიფო გამომცემლობა, 1956;
- **მეგრელიძე 1974**: მეგრელიძე შამშე, საქართველო აღმოსავლეთის ომებში. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“, 1974;
- **წერეთელი 1973:** წერეთელი გიორგი, პუბლიცისტიკა, „გიორგი წერეთლის პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან“, თარგმნეს: შ. მეგრელიძემ და შ. ხანთაძემ. თბილისი. საბჭ. საქართველო, 1973;
- **ჭავჭავაძე 1955:** ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 4, თბილისი, გამომცემლობა „სახელგამი“, 1955;
- **ვოლკოვნსკი 1884:** ვოლკოვნსკი ნ.ა., ისტორია მათი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდის მთავრის გიორგი მიხეილის-ძის ქართველთ ქვეითის დრუჟინისა. 1831-1881 წ. თარგმნა: ივანე მაჩაბელი, თბილისი, ა.ა. მიხელსონის სტამბა, 1884;
- **ფრენკელი 2012:** ფრენკელი ალექსანდრე, ნარკვევები ჩურუქსუზე და ბათუმზე, თარგმნა: ახვლედიანი აზიზ, თბილისი, გამომცემლობა „ინოვაცია“, 2012;
- **ხოხლენკო 1963**: ხოხლენკო გიორგი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა. თბილისი. საბჭ. საქართველო, 1963;
- **წერილი რედაქტორთან 1877ა:** „დროება“, 1877, 13 აპრილი, №40;
- **წერილი რედაქტორთან 1877ბ:** „დროება“, 1877, 15 აპრილი, №41;
- **წერილი რედაქტორთან 1877გ:** „დროება“, 1877, 20 აპრილი, №43;
- **წერილი რედაქტორთან 1877დ:** „დროება“, 1877, 29 აპრილი, №47;
- **წერილი რედაქტორთან 1877ე:** „დროება“. 1877, 1 მაისი, №48;
- **წერილი რედაქტორთან 1877ვ:** „დროება“, 1877, 4 მაისი, №49;
- **წერილი რედაქტორთან 1877ზ:** „დროება“, 1877, 8 მაისი, №50;
- **წერილი რედაქტორთან 1878:** „დროება“, 1878, 5 ივნისი, №132;
- **ერილი რედაქტორთან 1891:** „ივერია“, 1891, 29 აგვისტო, №184;
- საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა), ფონდი №485: საქმე №4653, ფურც. 77;

- საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა), ფონდი №1087, საქ. №509, ფურც. 8;
- საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა), ფონდი №4. საქ. №56, ფურც. 62.

Saba Kalandarishvili
MA Program in Cultural and Social Anthropology, TSU

COMBAT ACTIONS OF THE RUSSIAN-OTTOMAN WAR OF 1877-1878 ON THE OZURGETI-BATUMI SECTION (SUMMARY)

Our work deals with the events of the war of 1877-1878, since this war turned out to be one of the most bloody for Georgia. Traditionally, the Caucasian front of this war was of great importance. The main combat operations took place in several sections. The aim of the paper is to reconstruct in detail the combat operations of the Kobuleti detachment in the Ozurgeti-Batumi direction. Considering that Batumi was of great strategic importance, a number of plans were developed to capture it. According to one of the plans, Batumi was to be captured from Ozurgeti. The Batumi-Ozurgeti section became one of the most important sections, where many bloody battles took place. Although the fate of the war was decided by the capture of Plevna in the Balkans, the contribution of Georgian warriors who participated in the battles of the Russo-Ottoman Caucasus front was important.